

შპს ჯორჯიან ბაზალტი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023
წლის 31 დეკემბერს

შპს ჯორჯიან ბაზალტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	2,774,301	1,537,025
არამატერიალური აქტივები		11,770	14,303
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,786,071	1,551,328
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	412,557	643,147
სავაჭრო მოთხოვნები		154,813	250,432
საგადასახადო აქტივები		47,185	26,203
ფული და ფულის ექვივალენტები		49,563	72,656
სულ მიმდინარე აქტივები		664,118	992,438
სულ აქტივები		3,450,189	2,543,766
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,169,420	2,499,420
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		455,731	(45,478)
სულ კაპიტალი		2,625,151	2,453,942
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	5	560,088	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		560,088	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		148,328	89,824
სესხები	5	116,622	-
სულ ვალდებულებები		264,948	89,824
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,450,189	2,543,766

შპს ჯორჯიან ბაზალტი
მოგება - ზარალის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	6	3,812,040	2,368,400
რეალიზაციის თვითღირებულება	7	(2,697,192)	(1,824,832)
მთლიანი მოგება		1,114,848	543,568
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	8	(155,765)	(225,536)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(314,728)	(424,420)
სხვა (ხარჯები)/შემოსავალი, წმინდა		(103,912)	54,266
საოპერაციო მოგება		540,443	(52,122)
ფინანსური შემოსავალი		3,159	1,616
ფინანსური ხარჯები		(42,393)	(12,761)
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		501,209	(63,267)
მოგების გადასახადი		-	-
წლიური მოგება/(ზარალი)		501,209	(63,267)

შპს ჯორჯიან ბაზალტი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი, 2022 წელი	2,913,420	117,788	3,031,208
წლის სრული ზარალი	-	(63,267)	(63,267)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(99,999)	(99,999)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(414,000)	-	(414,000)
31 დეკემბერი, 2022 წელი	2,499,420	(45,478)	2,453,942
წლის სრული მოგება	-	501,209	501,209
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(330,000)	-	(330,000)
31 დეკემბერი, 2023 წელი	2,169,420	455,732	2,625,151

შპს ჯორჯიან ბაზალტი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4,650,196	2,988,208
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		(3,190,064)	(1,569,134)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(478,338)	(473,214)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები			
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		981,795	945,860
გადახდილი პროცენტი		(30,133)	(12,661)
გადახდილი გადასახადები		(683,159)	(473,692)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული)		268,502	459,507
ფულადი სახსრები, წმინდა			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		3,948	1,163
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(632,142)	(2,064)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან, წმინდა		(628,194)	(901)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		989,000	127,500
კაპიტალის განაწილება მფლობელზე დივიდენდის გარდა		(330,000)	(414,000)
აღებული სესხების დაფარვა		(322,403)	(127,501)
გადახდილი დივიდენდი		-	(99,999)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, წმინდა		336,597	(514,000)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		72,656	128,050
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		49,563	72,656

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან ბაზალტი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით **405233732**. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ინერტული მასალების მოპოვება და დამუშავება.

კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, თბილისი, პეკინის გამზირი N34/ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N2ა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. თითოეული კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

სასარგებლო გამოყენების ვადა	
შენობები	10 წელი
მანქანა-დანადგარები	5-დან 20 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-დან 7 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 20 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავსნად ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს გაწეულ ხარჯებს მარაგების ყიდვისას და მათი ადგილზე მიტანისას. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

სასესხო ვალდებულებები. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიერ აღებულ სესხს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან. სესხი იფარება ყოველთვიური გრაფიკის მიხედვით.

3. ძირითადი საშუალებები

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ძირითადი საშუალებების მოძრაობას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში:

ქართულ ერთეულ ლარში	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2022	82,000	580,183	1,612,325	142,765	1,427,868	3,845,141
დამატება	-	-	-	1,614	-	1,614
31 დეკემბერი 2022	82,000	580,183	1,612,325	144,379	1,427,868	3,846,755
დამატება ჩამოწერა	-	-	984,282	51,792	486,354 (161,983)	1,522,428 (161,983)
31 დეკემბერი 2023	82,000	580,183	2,596,607	196,171	1,752,239	5,207,200
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	-	(168,001)	(853,014)	(48,359)	(814,888)	(1,884,262)
ცვეთის ხარჯი	-	(43,680)	(203,638)	(15,198)	(162,952)	(425,468)
31 დეკემბერი 2022	-	(211,681)	(1,056,652)	(63,557)	(977,840)	(2,309,730)
ცვეთის ხარჯი დაგროვებული ცვეთა ჩამოწერილ აქტივებზე	-	(33,272)	(139,202)	(11,012)	(100,533)	(284,019)
31 დეკემბერი 2023	-	(244,953)	(1,195,854)	(74,569)	(917,523)	(2,432,899)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	82,000	368,502	555,673	80,822	450,028	1,537,025
31 დეკემბერი 2023	82,000	335,230	1,400,753	121,602	834,716	2,774,301

4. მარაგები

ქართულ ერთეულ ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სათადარიგო ნაწილები და სახარჯო მასალები	369,723	318,837
ღორღი	37,708	318,788
სხვა მცირეფასიანი მარაგები	5,126	5,522
სულ მარაგები	412,557	643,147

5. აღებული სესხები

ქართულ ერთეულ ლარში	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი			
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	სებ რეფინანსირების განაკვეთი + 3.7%	560,088	-
სულ გრძელვადიანი სესხები		560,088	-
მიმდინარე			
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	სებ რეფინანსირების განაკვეთი + 3.7%	116,622	-
სულ მიმდინარე სესხები		116,622	-
სულ აღებული სესხები		676,710	-

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის აღებულ სესხზე წლიური დარიცხული პროცენტი შეადგენს ლარს 27,129 ლარს და 0 ლარს, შესაბამისად.

6. შემოსავალი

ქართულ ერთეულ ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი ღორღის რეალიზაციიდან	2,871,273	1,809,800
შემოსავალი გადასაყიდად შეძენილი ღორღის რეალიზაციიდან	940,767	558,600
სულ შემოსავალი	3,812,040	2,368,400

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ქართულ ერთეულ ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემდგომი გაყიდვისთვის შეძენილი ღორღის ღირებულება	(935,292)	(551,609)
თანამშრომელთა ხელფასები	(528,183)	(279,448)
ტრანსპორტირებისა და ავტომაქანების ხარჯები	(434,333)	(370,679)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	(281,528)	(360,131)
კომუნალური ხარჯები	(173,919)	(119,833)
მასალები და სახარჯი მასალები	(124,855)	(47,500)
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	(92,376)	(1,767)
უსაფრთხოების ხარჯები	(66,482)	(54,939)
უსაფრთხოების ხარჯები	(42,437)	(25,853)
მინერალურ რესურსებზე გადასახადის ხარჯი	(14,794)	(7,890)
დაზღვევის ხარჯი	(2,766)	(2,180)
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	(227)	(3,003)
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა		
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,697,192)	(1,824,832)

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართულ ერთეულ ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
თანამშრომელთა ხელფასები	(186,312)	(313,494)
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	(41,260)	(68,397)
გადასახადები, გარდა სამემოსავლო გადასახადისა	(32,999)	(6,920)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	(25,401)	(19,136)
ტრანსპორტირებისა და ავტომაქანების ხარჯები	(8,463)	(3,812)
კომუნალური ხარჯები	(8,165)	(7,458)
მივლინებები	(7,774)	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	(3,440)	-
დაზღვევის ხარჯი	-	(4,303)
სხვა ხარჯები	(914)	(900)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(314,728)	(424,420)

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

25 სექტემბერი, 2024

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

